



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030170862905920

№ 01-195/ო

11 / მაისი / 2020 წ.

ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად და „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული კონცეფციის VI თავის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მინიმალური სტანდარტები (დანართი №1);
- ბ) ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მინიმალურ სტანდარტებთან თანდართული შემდეგი ფორმები:
 - დანართი N2 - ბავშვისა და ოჯახის შეფასება;
 - დანართი N3 - ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა;
 - დანართი N4 - ვიზიტების ჩანაწერი;
 - დანართი N5 - ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის გადასინჯვა;
 - დანართი N6 - ადრეული ჩარევის სპეციალისტის თვითშეფასების კითხვარი ბავშვის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ალტერნატიულ სერვისში ტრანზიციასთან დაკავშირებით;
 - დანართი N6.1 ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა;
 - დანართი N7 - ადრეული ინტერვენციის მომსახურების შეწყვეტის / მომსახურებიდან გასვლის გეგმა.

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული სტანდარტები სავალდებულოა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის შესაბამისი წლის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში რეგისტრირებული ყველა მომსახურების მიმწოდებლისათვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა), ხოლო სარეკომენდაციო ბავშვთა ადრეული ინტერვენციის განმახორციელებელი ყველა მომსახურების მიმწოდებლისათვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 18 აგვისტოს №01-188/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტურულად



ეკატერინე ტიკარაძე